# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 244

"9" ივნისი 2023 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა №24-28/ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევი №11-ში არსებული 96.81 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.068.01.501) და 11.40 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.068.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118$^{1}$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა №24-28/ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევი №11-ში არსებული 96.81 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.068.01.501) და 11.40 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.068.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 24 მაისის №23.733.823 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა №24-28/ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევი №11, სართული 1, შენობა №1-ში მდებარე 96.81 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.068.01.501) და ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა №24-28/ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევი №11, სართული 2-ზე მდებარე 11.40 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.068.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ნელი ხაჯალიასთვის (პ/ნ. 01011070763) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე